ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

№ 896 „24" სექტემბერი 2015 წ.

ბრძანება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 24 სექტემბრის N 10/17323 წერილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო საატესტაციო კომისიის 2015 წლის 24 სექტემბრის N1 სხდომის ოქმით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ჩასატარებელი კონკურსის ფორმები, ეტაპები, პირობები, შეფასების ფორმები, ჩატარების გრაფიკი, აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრული ოდენობა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების ფორმები დანართის შესაბამისად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადდეს კონკურსი 2015 წლის 28 სექტემბრიდან. განცხადებების წარდგენა შესაძლებელია

მხოლოდ ელექტრონულად მისამართზე www.hr.gov.ge. განცხადებების წარსადგენად განისაზღვროს 10 დღიანი ვადა.

3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 24 სექტემბრის N888 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. ცნობად იქნას მიღებული, რომ კონკურსის პროგრამა დადგენილია „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 24 სექტემბრის N888 ბრძანებით.

5. ინფორმაცია კონკურსის ტესტირებისა და გასაუბრების ეტაპების გამართვის შესახებ თითოეულ კანდიდატს ეცნობება ინდივიდუალურად ელექტრონული ფოსტის და/ან მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით.

6. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო–საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ კონკურსი მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ტარდება 3 ეტაპად. კონკურსის პირველი ეტაპია განცხადებების გადარჩევა, მე-2 ეტაპი - ტესტირება, მე-3 ეტაპი – გასაუბრება. გასაუბრებაზე კონკურსის მონაწილის (შემდგომში – კანდიდატი) დაშვების ერთადერთი საფუძველია ტესტირების ეტაპზე მინიმალური გამსვლელი ზღვარის გადალახვა. კანდიდატი, რომელიც ტესტირების ეტაპზე ვერ გადალახავს მინიმალურ გამსვლელ ზღვარს, არ დაიშვება კონკურსის მე-3 ეტაპზე – გასაუბრებაზე.

2. კონკურსის შედეგებზე კანდიდატთა ინფორმირებას, ელექტრონული ფოსტის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ახორციელებს კომისიის სამდივნო.

3. კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა - სრულდება განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 დღეში, კონკურსის მე-2 ეტაპი - ტესტირება იწყება განცხადებების გადარჩევის დასრულებიდან არაუადრეს მე-3 დღისა, კონკურსის მე-3 ეტაპი - გასაუბრება იწყება ტესტირების დასრულებიდან არაუადრეს მე-3 დღისა და ტარდება ტესტირების შედეგებიდან (გასაუბრებას დაქვემდებარებულ კანდიდატთა რაოდენობიდან გამომდინარე) გონივრულ ვადაში.

4. კონკურსის მე-2 ეტაპი – ტესტირება ტარდება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად. ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვრება კონკურსანტის მიერ გაცემული სწორი პასუხების 66.5%-ით, ანუ 60 კითხვიდან არანაკლებ 40 სწორი პასუხის ოდენობით.

5. კონკურსის მე-3 ეტაპს – გასაუბრებას ატარებს საკონკურსო–საატესტაციო კომისია.

6. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკურსის პროცესში ფასდება კანდიდატის კვალიფიკაცია, პროფესიული დონე, ცოდნა, პიროვნული თვისებები, მოტივაცია და უნარ-ჩვევები.

7. გასაუბრების ეტაპზე საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თითოეული დამსწრე წევრი ავსებს კანდიდატის ინდივიდუალური შეფასების ფორმას (ფორმა N1) და ახდენს კანდიდატის ინდივიდუალურ შეფასებას ანკეტა–კითხვარის მიხედვით, მინიმალური 1–დან მაქსიმალური 5 ქულის ჩათვლით.

8. ანკეტა–კითხვარში პუნქტობრივადაა მოცემული შემდეგი ექვსი კრიტერიუმი: 1. კომუნიკაციის (მაგ: საკუთარი შესაძლებლობების წარდგენის) უნარი, 2. მოტივაცია, 3. პროფესიული მიღწევები, 4. ლოგიკური მსჯელობა და ანალიზის (მაგ: სიტუაციური მაგალითი) უნარი, 5. შესასრულებელი სამუშაოს ხედვა და მზადყოფნა, 6. დამატებით კითხვებზე პასუხები.

9. საკონკურსო–საატესტაციო კომისიის დამსწრე წევრის ინდივიდუალური შეფასება არის ანკეტა–კითხვარის პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელიც მრგვალდება მეასედის სიზუსტით.

10. კანდიდატის დაუსწრებლად საკონკურსო–საატესტაციო კომისია ავსებს კომისიის შეფასების დადგენილ ფორმას (ფორმა N2), რომელშიც ფიქსირდება კომისიის დამსწრე წევრთა მიერ კანდიდატის ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკული. მიღებული ციფრი (დამრგვალებული მეასედის სიზუსტით) წარმოადგენს კანდიდატის საბოლოო შეფასებას.

11. გასაუბრების ეტაპზე მინიმალურ გამსვლელ ზღვარს წარმოადგენს 3 (სამი) ქულა (საბოლოო შეფასება). პირი, რომელიც საკონკურსო–საატესტაციო კომისიის მიერ გასაუბრების ეტაპზე მიიღებს საბოლოო შეფასებას 3 (სამ) ქულაზე (მეასედის დამრგვალებით) ნაკლები ოდენობით, აღარ განიხილება კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატად. თუ გასაუბრების ეტაპზე ვერცერთი პირი საკონკურსო–საატესტაციო კომისიის მიერ ვერ მიიღებს საბოლოო შეფასებას 3 (სამი) ქულის (მეასედის დამრგვალებით) ან მეტი ოდენობით, ასეთ კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსი ცხადდება ჩაშლილად.

12. საკონკურსო–საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს კანდიდატს, რომელსაც გასაუბრების შედეგად დაუფიქსირდება შეფასების ყველაზე მაღალი ქულა. თუ კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე წარსადგენ ორ ან მეტ კანდიდატს დაუფიქსირდა ქულათა (მეასედის სიზუსტით) თანაბარი რაოდენობა, კომისიის მიერ მათ შორის საუკეთესო ვლინდება კენჭისყრით და უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც კომისიის უფრო მეტი წევრი დაუჭერს მხარს. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გადაწყვეტილებას, რომელსაც სხდომის თავმჯდომარე უჭერს მხარს. კენჭისყრის პროცედურა და შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

13. კომისიის მიერ მზადდება დასკვნა (ფორმა N3), რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები.

14. კონკურსის საბოლოო შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები.

15. კონკურსის საბოლოო შედეგებზე ინფორმაცია და გადაწყვეტილება ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატის წარდგენის ან კანდიდატის წარდგენაზე უარის შესახებ, კომისიის მიერ წარედგინება ვაკანტურ თანამდებობებზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირს (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს).

ფორმა N1

_____ _____თავმჯდომარეობით კომისიის წევრის
(თავმჯდომარის სახელი, გვარი)

_____

მიერ_____
(სახელი, გვარი) (ვაკანტური თანამდებობის დასახელება)

თანამდებობაზე განსახლველი კანდიდატის_____
(სახელი, გვარი)

ინდივიდუალური შეფასების ფორმა

** შენიშვნა: კომისიის წევრის შეფასება ქვემოთ მოტანილი ანკეტა–კითხვარის მიხედვით, მინიმალური 1–დან მაქსიმალური 5 ქულის ჩათვლით. თითოეულ პუნქტში შესაბამისი ციფრი შემოიხაზება წრიულად.*

1. კომუნიკაციის (მაგ: საკუთარი შესაძლებლობების წარდგენის) უნარი	1 2 3 4 5
შენიშვნა: _____	

2. მოტივაცია	1 2 3 4 5
შენიშვნა: _____	

3. პროფესიული მიღწევები	1 2 3 4 5
შენიშვნა: _____	

4. ლოგიკური მსჯელობა და ანალიზის (მაგ: სიტუაციური მაგალითი) უნარი	1 2 3 4 5
შენიშვნა: _____	

5. შესასრულებელი სამუშაოს ხედვა და მზადყოფნა	1 2 3 4 5
შენიშვნა: _____	

6. დამატებით კითხვებზე პასუხები	1 2 3 4 5
შენიშვნა: _____	

ინდივიდუალური შეფასება (საშუალო არითმეტიკული, მრგვალდება მეასედის სიზუსტით) _____ ქულა

კომისიის წევრი (სახელი, გვარი) _____ ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფორმა N2

_____ _____ თავმჯდომარეობით კომისიის
(თავმჯდომარის სახელი, გვარი)

მიერ_____
_____
(ვაკანტური თანამდებობის დასახელება)

თანამდებობაზე განსახლველი კანდიდატის_____
(სახელი, გვარი)

საბოლოო შეფასების ფორმა

საბოლოო შეფასება ——— ქულა

კომისიის თავმჯდომარე

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

თარიღი: _____

ფორმა N3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის

დასკვნა

კანდიდატი (სახელი, გვარი) _____ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის დასკვნით, თბილისის საკრებულოს აპარატის (ვაკანტური თანამდებობის დასახელება) _____ _____თანამდებობაზე:

(შემოიხაზოს შესაბამისი ციფრი წრიულად)

1. წამოყენებულ იქნა ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად.
2. უარი ეთქვა კანდიდატს წამოყენებაზე ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად.

კომისიის თავმჯდომარე

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

თარიღი: — _____